პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მწერალთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 91 (10788) | ოთხშაბათი, 17 აპრილი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვისას, რაც ახლა მთელ ჩვენს დიად სამშობლოში მიმდინარეობს, წარმოების მუშაკებს მოჰყავთ მრავალი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად დიდ შეფერხებებს უქმნის მათ მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისათვის, კერძოდ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საწარმოთა მუშაობის დაგეგმვისა და მართვის ორგანიზაციული ფორმების შეუსაბამობა სახალხო მეურნეობის მოთხოვნებთან.

აი ერთი მაგალითი: ქუთაისის აგურის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა 1955 წელს ხელსაყრელი ამინდის ვითარებაში შეძლო აგურის დაყალიბების გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება, წლის ბოლოსთვის 12 მილიონი ცალი წოთელი აგური გამოუშვა. სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ, რომელსაც ეს საწარმო უწევს მომსახურებას, 1956 წლისათვის ქარხნის კოლექტივს 12 მილიონი ცალი აგურის გამოშვება დაუგეგმა, თუმცა ასეთი გეგმის არარეალობა წინასწარვე აშკარა იყო, ვინაიდან შემოდგომაზე ცუდი ამინდის ვითარებაში არსებულ საშრობთა ტევადობა ნედლი აგურის დიდი რაოდენობით გამოშრობის საშუალებას არ იძლეოდა. ამინდი მართლაც არახელსაყრელი გამოდგა, გეგმა შეუსრულებელი რჩებოდა და ქარხნის ხელმძღვანელებმაც „გამოსავალი“ მონახეს — შეკვეცეს ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობა, რათა მოკლე დროში მეტი პროდუქციის გამოშვება მოეხერხებინათ, მაგრამ... შედეგად პროდუქციის ხარისხის გაუარესება მიიღეს.

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების, პარტიის მიერ დასახული იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის წარმატებით გადაჭრის ინტერესი, დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, — მოითხოვს შეუნელებლივ გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, საამისოდ გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, ვამრავლოთ სახალხო დოვლათი, მაგრამ ამასთან აუცილებლად უზრუნველვყოთ მხოლოდ მაღალხარისხოვანი, მხოლოდ საუკეთესო პროდუქციის გამოშვება.

ბოლო ხანებში შესამჩნევი ხდება, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოების სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეანელეს ყურადღება მუშაობის ამ მეტად პასუხსაგები უბნისადმი — პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისადმი. ამას მოწმობენ მშრომელთა ის წერილებიც, რომლებიც რედაქციაში ყოველდღე მრავლად მოდის. რუსთავის მეტალურგები კვლავ გამოთქვამენ საყვედურს იმის გამო, რომ ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკიდან მიღებული საკოქსე კონცენტრატი ხშირად სტანდარტულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, მაღალნაცრიანი და გადაჭარბებულად ნესტიანია. თბილისელი ჩარხმშენებლები კვლავ უკმაყოფილო არიან ფოლად-თუჯმსხმელებისაგან მიღებული საჩარხე სხმულის დაბალი ხარისხით. ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა ვ. ბოჭორიშვილი გვწერს, რომ თბილისის თამბაქოს ფაბრიკებმა ბოლო ხანებში მეტად გაუარესეს პოპულარული მარკების პაპიროსის ხარისხი.

პარტიის XX ყრილობამ სოციალისტური მრეწველობის მუშაკებს ამოცანად დაუსახა მაღალი ტემპებით განავითარონ ბრძოლა ისეთი პროდუქციის გამოსაშვებად, როგორიც არის შალისა და სელის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ავეჯი და სხვა ფართო კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელი, ამასთან ყველა საშუალებით უზრუნველყონ ამ საქონლის ხარისხობრივად გაუმჯობესება.

პარტიის ეს დავალება ეტყობა დაიკვიწყეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც პროდუქციის ხარისხისადმი გულგრილი დამოკიდებულებით საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ აიძულეს სამრეწველო საქონლის ხარისხის შემმოწმებელი სახელმწიფო ინსპექციის რესპუბლიკური სამმართველო აეკრძალა ამ ფაბრიკაში დაუდევრად შეკერილი გოგონათა კოსტიუმების სავაჭრო ქსელში გასაყიდად გამოტანა.

ასევე სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს სტალინირის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატი, რომელმაც გამოუშვა უვარგისი, უხეშად ნაკეთები წიგნის კარადები და სხვა ავეჯი. სამრეწველო საქონლის ხარისხის შემმოწმებელი ინსპექცია ასევე იძულებული გახდა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის თბილისის ლითონის ნაკეთობათა ქარხნისათვის აეკრძალა სამშენებლო ლურსმნის გამოშვება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება საწარმოთა კოლექტივების ყოველდღიური საზრუნავი საქმეა. უხარისხო პროდუქციის გამოშვება დანაშაულია, რომლისთვისაც უწინარეს ყოვლისა პასუხი უნდა აგონ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, რადგან ეს უდრის ნედლეულის განიავებას, მომხმარებლის ინტერესთა უგულებელყოფას, ნარჩენების ზრდას, საწარმოსათვის მძიმე ფინანსური დაბრკოლებების შექმნას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პროდუქციის ხარისხის განუხრელი გაუმჯობესება დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანებზე და არა სხვა რაიმე გარემოებაზე. იქ, სადაც მოშვებულობაა, სუსტია დისციპლინა, ადგილი აქვს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას — პროდუქციაც უხარისხო გამოდის. საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა დარაზმონ მუშები პროდუქციის ხარისხის უგულებელყოფისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

რა უშლიდათ ხელს თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის მუშაკებს, რომ მშვენიერი ქსოვილიდან წესიერად შეეკერათ გოგონებისათვის კოსტიუმები, ნაკერი ხაზი გაევლოთ არა ოკრიბოკროდ, არამედ სწორად, ფაქიზად, საღილეებს შორის მანძილი თანაბარი დაეტოვებინათ, სარჩული საპირეზე გულდასმით მიეკერებინათ? გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულების გამოდევნება და კონტროლის მოშლილობა, მომხმარებლისადმი უპატივცემლობა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვისას წარმოების მოწინავე ადამიანები კომუნისტური პირდაპირობით ავლინებენ საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. რასაკვირველია, ყველა ნაკლი იმით როდია გამოწვეული, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაცია არასრულყოფილია და დაგეგმვაც არ არის ჯეროვნად მოწესრიგებული. ბევრი ნაკლი ადგილობრივი მიზეზებით არის გამოწვეული. ასეთი ადგილობრივი წარმოშობის ნაკლოვანებათა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ზოგ საწარმოში პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების უგულებელყოფა.

საწარმოთა ხელმძღვანელებს, პარტიულ მუშაკებს, პროფაქტივისტებს, საწარმოს კოლექტივის თვითეულ წევრს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ საფაბრიკო მარკის ღირსების, საწარმოს ავტორიტეტის ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია მაღალხარისხოვანი, მოხდენილი, მოსაწონი პროდუქცია.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ავღანეთის ელჩი აბდულ ჰაქინი

16 აპრილს ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში აბდულ ჰაქინმა ვიზიტი გაუკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ვ. ჰაასი

16 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ჰაასი. ელჩმა ნ. ა. ბულგანინს გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერის პასუხი ნ. ა. ბულგანინის 1957 წლის 18 მარტის წერილზე. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი პეკინში ჩავიდა

პეკინი, 15 აპრილი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევის 3 საათზე პეკინის დროით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი.

ნანიუანის სამხრეთ აეროდრომზე, ქალაქისაკენ მიმავალ ავტოსტრადაზე ძვირფასი სტუმრის შესახვედრად, რომელიც ჩამოდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მოწვევით, შეიკრიბნენ ასეულათასობით მუშები, მოსამსახურეები, მახლობელი სოფლების გლეხები, სტუდენტები და მოსწავლეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი. ისმის სიმღერები, დოლისა და გონგის ხმა, უკრავენ ეროვნულ საკრავთა ორკესტრები. მუქლურჯ ქურთაკებს შორის დღეს ბევრია ლამაზი ეროვნული კოსტიუმი. უფროსებთან ერთად, რომლებიც აეროდრომზე მოვიდნენ პირდაპირ საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, დგანან წითელ ყელსახვევებიანი ბავშვები. შემხვედრთ ხელში უჭირავთ ნაირნაირი თაიგულები, მოჩანს უამრავი წითელი ქსოვილები.

გაზაფხულის ნიავი არხევს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ალმებს, რომლებიც ამაყად ფრიალებენ მზის სხივებზე. ყველგან მოჩანს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ემბლემები, პლაკატები საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწისადმი მხურვალე მისალმების სიტყვებით, ლოზუნგები, რომლებიც ქებადიდებას ასხამენ ორი დიდი ხალხის ძმობას, ხალხებისა, რომლებიც ამჟამად მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების სათავეში არიან.

კ. ე. ვოროშილოვის შესახვედრად ჩავიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დენ სიაო-პინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრები და სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, კომუნისტური პარტიის ცენტრალური აპარატის მუშაკები, ჩინეთის დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელები, პეკინის სახალხო კომიტეტის ხელმძღვანელები. შემხვედრთა შორის არიან სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი, საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

გაისმის მქუხარე ტაში და სიხარულის შეძახილები. უღრუბლო ცაში სიშანის მთების მხრიდან დიდი სისწრაფით მოდის თვითმფრინავი. რამდენიმე წამში წითელვარსკვლავიანმა გიგანტმა გადაუფრინა ადამიანთა ბობოქარ ზღვას. „ტუ-104“ დაეშვა და 15.00 ადგილობრივი დროით ტაშის გრიალში და მისალმების შეძახილებში თვითმფრინავიდან ჩამოდის კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი. მას მოჰყვებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო.

მათთან ერთად თვითმფრინავიდან ჩამოდიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ძი პინ-ფეი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ვან ჯოჟუ, რომლებიც ირკუტსკში შეხვდნენ კ. ე. ვოროშილოვს.

მაო ძე-დუნი და კ. ე. ვოროშილოვი ხელს ართმევენ ერთმანეთს. ასევე გულთბილად, ძმურად ხვდებიან სტუმარს ამხანაგები ჯუ დე, ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, დენ სიაო-პინი.

ზეიმურად ყოერენ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნები. კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო პეკინ-ტიანძიანის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი, მაო ძე-დუნის თანხლებით ჩამოუარა სახელოვანი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცთა მწყობრს, მიესალმა მათ. პასუხად გაისმა მეომართა შეწყობილი მისალმება.

კ. ე. ვოროშილოვი ხელს ართმევს მთავრობის წევრებს და ჩინეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ეცნობა დიპლომატიური კორპუსის წევრებს, გულთბილად უპასუხებს მისალმებაზე შემხვედრთ, რომლებმაც მას ყვავილები მიართვეს.

...ქვეითთა, მეზღვაურთა და მფრინავთა ცერემონიული მარშის შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი და მაო ძე-დუნი მიდიან მიკროფონთან.

ამხანაგ მაო ძე-დუნის მისასალმებელი სიტყვა

დიდად პატივცემულო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეო ამხანაგო კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვ!

თქვენი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში პატივია ჩინელი ხალხისათვის და დიდი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობაში, რომელიც სულ უფრო ვითარდება. **(ტაში)**. ჩინელი ხალხის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის სახელით სულით და გულით მოგესალმებით თქვენ, აგრეთვე მივესალმები თქვენს თანმხლებ ყველა პირს და გიძღვნით ძმურ სალამს. **(მქუხარე ტაში)**.

დიდმა საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს გაუხსნა სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი გზა და მთელ კაცობრიობას უჩვენა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიადი მაგალითი. საბჭოთა ხალხის მაგალითით შთაგონებული ჩინელი ხალხი მისი მხარდაჭერით მიდის წინ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გზით. **(ტაში)**.

ჩინელი და საბჭოთა ხალხები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ღრმა ძმური მეგობრობით. საბჭოთა ხალხი გვიწევდა და გვიწევს უდიდეს მხარდაჭერას, უდიდესი თანაგრძნობით ეკიდება ჩინეთის რევოლუციას და მშენებლობის საქმეს. ნება მიბოძეთ ჩვენი გულითადი მადლობა მოგახსენოთ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. **(მქუხარე ტაში)**.

ამხანაგო თავმჯდომარევ, თქვენ ხართ დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენელი, ჩინელი ხალხის უახლოესი მეგობარი. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ვიზიტი აუცილებლად შეუწყობს ხელს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, აგრეთვე ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის კეთილშობილურ საქმეს.

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას! **(ტაში)**.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს! **(ტაში)**.

გაუმარჯოს სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ერთიანობას საბჭოთა კავშირის მეთაურობით! **(ტაში)**.

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში)**.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვმა.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო მაო ძე-დუნ!

ძვირფასო ამხანაგებო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელოვანი დედაქალაქის პეკინის მოქალაქენო!

ჩვენ უდიდეს სიხარულს განვიცდით ჩინეთში ჩამოსვლის გამო. პირველად ჩამოვედი თქვენს მშვენიერ ქვეყანაში, მაგრამ არ შემიძლია ვთქვა, რომ მას არ ვიცნობ. ჩვენ, უფროსი თაობის კომუნისტები, ჯერ კიდევ რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მხურვალე თანაგრძნობით ვადევნებდით თვალყურს ჩინელი ხალხის ბრძოლას იმპერიალისტებისა და ფეოდალების უღლის წინააღმდეგ, ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური თავისუფლებისათვის. უკვე იმ შორეულ დროში ჩვენი ბელადი ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ჩინეთი იღვიძებს, და გამოთქვამდა მტკიცე რწმენას, რომ ჩინელი ხალხი გაიმარჯვებდა იმპერიალისტ დამპყრობლებსა და ფეოდალიზმზე. დიდი ლენინის განჭვრეტა ახდა. ჩინელმა ხალხმა თავისი ქვეყნიდან განდევნა უცხოელი იმპერიალისტები, მოსპო ფეოდალიზმი და დაადგა ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობის გზას. **(ტაში)**.

ჩვენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩამოვედით მეგობრული ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის დიდად პატივცემულო ამხანაგის მაო ძე-დუნის თავაზიანი მოწვევით. ჩინეთში ყოფნა გვინდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უშუალოდ გავეცნოთ მომძე ჩინელ ხალხს, მის დაძაბულ, მამაცურ შრომას და ახალი სოციალისტური ცხოვრების შესანიშნავ შედეგებს. **(ტაში)**.

საბჭოთა ადამიანები ყოველთვის აღტაცებული იყვნენ მამაცობითა და გმირობით, რომლებითაც დიდი ჩინელი ხალხი იტანდა თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მკაცრი ბრძოლის ყველა სიძნელეს. ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმოშობა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენაა. წარმატებანი, რომლებსაც ჩინელმა ხალხმა თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია, ჩვენი ჩინელი მეგობრებისა და ძმებისათვის სიამაყით გვივსებს გულს. **(ტაში)**.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყნების ხალხები ერთად არიან, მჭიდროდ დაურაზმავთ რა თავიანთი რიგები და დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ ერთმანეთს. **(ტაში)**.

ჩვენი მთავრობები ახორციელებენ პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ახალი ომის თავიდან აცილება, სადაც უნდა იყოს მსოფლიოში. ჩვენ სამხედრო ბლოკების წინააღმდეგი ვართ, მოვითხოვთ კოლექტიურ უშიშროებას, მშვიდობიან თანაარსებობას და კაპიტალიზმის ქვეყნებისა და სოციალისტური ქვეყნების შეჯიბრებას. ჩვენი ხალხები ამს ეთანხმებიან — ჩვენ ვცხოვრობთ ერთ ეპოქაში და არიან, რომ შემცირდეს შეიარაღება, საერთაშორისო ატმოსფერო ჯანმრთელდეს და წყალბედნიერ იარაღად. **(ტაში)**.

საბჭოთა მთავრობა გადაჭრით უპერს მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინეთის განუყოფელი ნაწილის — კუნძულ ტაივანის დაბრუნების მოთხოვნაში. **(ტაში)**.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ აღმაშფოთებელი უსამართლობაა ჩინეთისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის მიმართ ის ფაქტი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ არის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ის გარემოება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საშუალებას არ აძლევენ მონაწილეობდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, უწინარეს ყოვლისა ზიანს აყენებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციას, რადგან თუ დიდმა ჩინეთმა არ მიიღო მონაწილეობა, ისე არ შეიძლება არც ერთი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. **(ტაში)**.

ძვირფასო ამხანაგებო! მსოფლიო მოწმეა სოციალიზმის ბანაკის ძალების შემდგომი შემჭიდროებისა, სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავებისა, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და ერთიანობა ყველა სოციალისტური სახელმწიფოს ერთიანობის დიადი ფაქტორია. მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენია. **(ტაში)**.

ნება მიბოძეთ პირადად ჩემი სახელით და ჩემი თანმხლები ამხანაგების სახელით გულითადი მადლობა ვუძღვნა ამხანაგ მაო ძე-დუნსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინეთში ჩვენი მოწვევისათვის. ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით, რათა სახელოვან და ძლევამოსილ ჩინელ ხალხს, ჩინეთის მომძე კომუნისტურ პარტიას, აგრეთვე ყველა დემოკრატიულ პარტიასა და ორგანიზაციას საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის სახელით და პირადად ჩემი სახელით გადავცე უაღრესად მხურვალე სალამი და საუკეთესო კეთილი სურვილები. **(ტაში)**.

გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო, გულთბილი შეხვედრისათვის. **(ტაში)**.

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურღვევი მეგობრობა! **(ტაში)**.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას! **(ტაში)**.

გაუმარჯოს დიდ ჩინელ ხალხს! **(ტაში)**.

* * *

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვის ბოლო სიტყვებს ფარავს მქუხარე ოვაცია და შეძახილები: გაუმარჯოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მარადიულ მეგობრობას, გაუმარჯოს ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთიანობას საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი და მაო ძე-დუნი ერთმანეთს გადაეხვევიან და გადაკოცნეს რუსული ჩვეულებისამებრ.

კვლავ გაისმის მქუხარე ტაში.

ჩინეთის დედაქალაქის მოზეიმე მცხოვრებლებით გარშემორტყმული კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი და მაო ძე-დუნი ჩასხდნენ ღია მანქანაში და გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ, ჯუნანხაიში — ჩინეთის მთავრობის რეზიდენციაში. ავტომობილთა მწკრივი მიდის მცირე სიჩქარით. სწრაფად სვლა შეუძლებელია. 12-კილომეტრიანი ტრასი გაჭედილია მოსახლეობით, რომელიც აქ მოვიდა, რათა შეხვდეს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წარმომგზავნილს.

გზაზე აღმართულია ალმებით და მწვანით მორთული თაღები და პირამიდები კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვისა და მაო-ძე-დუნის ვეებერთელა პორტრეტებით. წითელ ქსოვილებზე ჩინურად და რუსულად წარწერილია: გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — საყოველთაო მშვიდობის მძლავრ ბურჯს! გაუმარჯოს ჩინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას! გაუმარჯოს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს! მადლობა საბჭოთა ხალხს ჩვენი ქვეყნისადმი უანგარო დახმარებისათვის!

ყვავილებით დაფარული წინა მანქანა შედის ქალაქის კედლის კარის ქვიტკირის კამარაში და მოსახლეობის მისალმების შეძახილებით მიემართება ქალაქის მთავარი სამხრეთის მაგისტრალით ტიანანმინის მოედნისაკენ, რომელიც, ისევე როგორც წითელი მოედანი მოსკოვში, მრავალი ისტორიული მოვლენის მოწმეა. აქ, სადაც 1949 წლის 1 ოქტომბერს ამხანაგმა მაო ძე-დუნმა აღმართა მშრომელთა ახალი სახელმწიფოს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ალმი, კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს მხურვალედ მიესალმა ახალი ათეულათასობით პეკინელი. მშობლებს მხრებზე შეუსვამთ ჩინეთის დედაქალაქის ყველაზე ნორჩი მოქალაქენი.

ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი და მაო ძე-დუნი მანქანაში დგანან და უპასუხებენ მისალმებებზე. მანქანები მიდიან ჯუნანხაიში, სადაც დაბინავდებიან კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს მილიონამდე პეკინელი შეხვდა.

მაო ძე-დუნმა ვახშამი გამართა კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად

პეკინი, 15 აპრილი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა ვახშამი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად.

ვახშამმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

კ. ე. ვოროშილოვმა ინახულა თავმჯდომარე მაო ძე-დუნი

პეკინი, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს საღამოს 6 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ვიზიტი გაუკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

18 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის მეორე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესიას შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

სესიაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ახვლედიანისა „აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის კ. ტაბატაძისა „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის რ. კიკნაძისა „აღმოსავლეთის როლი საკაცობრიო კულტურის განვითარების საქმეში“. (საკდესი).

ალბანელი სტუმრები მოსკოვში დაბრუნდნენ ლენინგრადსა და ჭაშკენტში მოგზაურობიდან

15 აპრილს დილით ლენინგრადში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრი ენვერ ხოჯა.

ლენინგრადის ვაგზალში ალბანელ სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. გ. ზაიცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი და სხვა პირები.

ალბანელ სტუმრებთან ერთად ლენინგრადიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. პოსპელოვი.

იმავე დღეს თვითმფრინავით ტაშკენტიდან მოსკოვში დაბრუნდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეტ შეჰუ.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. მალენკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. თ. ჟიგარიოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. გ. ზაიცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები.

ტაშკენტიდან სტუმრებთან ერთად მოსკოვში დ

შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუში

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების 40 წლისთავი

დღეს 40 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინმა პეტროგრადის ბოლშევიკების კრებაზე აპრილის თეზისები გამოაქვეყნა. ამ თეზისებში კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის შემუშავებულია თეორიულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა, სტრატეგია და ტაქტიკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა, რაც პრაქტიკული გამოცდილებით შემოწმებულია საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების მაგალითზე.

* * *

პირველმა მსოფლიო ომმა გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა და დაიჩქარა მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში. ამ რევოლუციის შედეგად მეფის რეჟიმი დაემხო და შეიქმნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის გვერდით არსებობდა მეორე ხელისუფლება — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. იგი წარმოადგენდა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურის ორგანოს.

ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას არ გადაუჭრია რევოლუციის არცერთი ისეთი ძირითადი საკითხი, როგორიც არის: ომის, ზავის, პურის, აგრარული და ეროვნული საკითხები. რევოლუციური ხალხი მოითხოვდა ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და დემოკრატიული ზავის დადებას. წინააღმდეგ ამისა, დროებითი მთავრობა, რომელიც დაკავშირებული იყო ინგლისა-საფრანგეთის იმპერიალისტებთან, მიუწოდებდა არმიასა და ხალხს „საბოლოო გამარჯვებამდე“ საომრად. დროებითი მთავრობა ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ამიტომ დროებითი მთავრობისადმი ხალხის მასების ნდობას მალე უნდა მოღებოდა ბოლო, და ასეც მოხდა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციები გამოვიდნენ იატაკქვეშეთიდან და გააჩაღეს პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. მაგრამ პარტიის მუშაკთა ნაწილი მერყეობდა. აშკარად იგრძნობოდა რევოლუციის სტრატეგისა და მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ვ. ი. ლენინის არყოფნა რუსეთში.

1917 წლის 3 (16) აპრილს ღამით ვ. ი. ლენინი შვეიცარიიდან პეტროგრადში ჩამოვიდა. ფინეთის ვაგზალზე ვ. ი. ლენინს შეხვდნენ ათასობით მუშები, ჯარისკაცები, მატროსები. ვ. ი. ლენინი ჯავშნიან ავტომობილზე ავიდა და მრავალი წლის განდევნილობის შემდეგ პირველად წარმოთქვა პეტროგრადის პროლეტარიატისა და ჯარისკაცების წინაშე თავისი ისტორიული სიტყვა, რომელიც დაამთავრა მოწოდებით „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“. ვ. ი. ლენინის რუსეთში ჩამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიისათვის, რევოლუციისათვის.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში შეიქმნა ახალი ვითარება. ამის გამო მუშათა კლასს, მის რევოლუციურ ლენინურ პარტიას ესაჭიროებოდა ახალი ორიენტირება, ისტორიული მომენტის შესაფერისი სტრატეგია და ტაქტიკა, რაც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა თავის განთქმულ აპრილის თეზისებში, რომლებიც „პრავდაში“ დაიბეჭდა სათაურით — „პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში“.

ამ თეზისებში ვ. ი. ლენინმა დასახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის ბრძოლის გენიალური გეგმა, რითაც გაამდიდრა მარქსისტული თეორია მოძღვრებით კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, პარტიის ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების შესახებ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის შესახებ.

მართალია, ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს თავის ცნობილ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ შეიმუშავა მარქსისტული თეორია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის შესახებ, გენიალურად განსაზღვრა კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა რევოლუციის პირველი ეტაპიდან რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასვლის შესახებ, მაგრამ აპრილის თეზისებში ახალი იყო ის, რომ იგი იძლეოდა თეორიულად ყოველმხრივ დასაბუთებულ, ისტორიული მომენტის შესაფერის კონკრეტულ სამოქმედო გეგმას სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის შესახებ.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის პარტიის მთავარ საბრძოლო სტრატეგიულ გეგმასა და ძირითად ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიული ხელისუფლების ლიკვიდაცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება მშრომელ გლეხობასთან. „რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას **მისცა, მეორე** ეტაპზე **გადასვლაში,** რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 4).

ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის წარმოადგენდა რევოლუციური პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის კომუნისტური პარტიის გენიალურ სტრატეგიულ გეგმას. ამ გეგმის განხორციელებისათვის რევოლუციური მზადება მიმდინარეობდა მაქსიმალური ლეგალობის პირობებში. ამასთან კაპიტალისტებისა და მემამულეების მთავრობა ჯერ კიდევ სარგებლობდა მასების მხრივ შეუგნებელი მხარდაჭერით. ასეთი პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა მომენტის შესაფერისი პარტიული მუშაობის ფორმებისა


Россійская Соціалъ-Демократическая Рабочая Партія.

ПРАВДА

ОРГАНЪ Центральнаго Комитета и Петроградскаго Комитета Р. С. Д. Р. П.

О задачахъ пролетаріата въ данной революціи.

Тезисы.

1. Въ нашемъ отношеніи къ войнѣ, которая со стороны Россіи и при новомъ правительствѣ Львова и Ко безусловно остается грабительской имперіалистской войной въ силу капиталистическаго характера этого правительства, недопустимы ни малѣйшія уступки „революціонному оборончеству“.

На революціонную войну, дѣйствительно оправдывающую революціонное оборончество, сознательный пролетаріатъ можетъ дать свое согласіе лишь при условіи а) перехода власти въ руки пролетаріата и примыкающихъ къ нему бѣднѣйшихъ частей крестьянства; б) при отказѣ отъ всѣхъ аннексій на дѣлѣ, а не на словахъ. в) при полномъ разрывѣ на дѣлѣ со всѣми интересами капитала.

და მეთოდების გამონახვას, რაც გენიალურად გააკეთა დიდმა ლენინმა.

* * *

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებში ნათქვამი იყო, რომ ომი დროებითი მთავრობის დროსაც კვლავ იმპერიალისტურ, უსაჭიურ ომად რჩება, რადგან ეს მთავრობა კაპიტალისტურია. ომის დამთავრება და მშვიდობის მოპოვება ბურჟუაზიული ხელისუფლების დაუმხობლად შეუძლებელია. „არავითარი მხარდაჭერა დროებით მთავრობას!“ — ასეთი იყო ლოზუნგი. ვ. ი. ლენინს არ წამოუყენებია მომენტის საბრძოლო ამოცანად დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის საკითხი, რადგან ამისათვის პირობები ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. ბოლშევიკებს ჯერ კიდევ არ ჰყავდათ უმრავლესობა საბჭოებში. იმ დროს უმრავლესობა საბჭოებში ეკუთვნოდათ მენშევიკებსა და ესერებს. ამიტომ, ბუნებრივია, საბჭოები ესერულ-მენშევიკური პარტიის პოლიტიკას ატარებდნენ.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მასებში ბოლშევიკური პროპაგანდის გაჩაღებას, ესერულ-მენშევიკური პარტიის პოლიტიკის მხილებას ხალხის წინაშე და მასების დარწმუნებას ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის სისწორეში, უმრავლესობის მოპოვებას მასებში, ამ გზით საბჭოებში ბოლშევიკური დეპუტატების უმრავლესობის გაყვანას და ამ საშუალებით მთელი ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ფორმა უნდა იყოს საბჭოების რესპუბლიკა.

* * *

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში განსაზღვრა პარტიის ძირითადი ამოცანები ეკონომიურ დარგში. პარტიის ამოცანა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელება. პარტიის ამოცანას შეადგენდა სოციალიზმის აშენება. ამიტომ ვ. ი. ლენინმა დასახა სოციალიზმზე გადასვლის კონკრეტული, ეკონომიური გეგმა, რომელიც გასაგები და მისაწვდომი იყო მასებისათვის. სოციალიზმის მშენებლობის დაწყების მიზნით ვ. ი. ლენინს მიზანშეწონილად მიაჩნდა შემდეგი ღონისძიებების გატარება: მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია, მიწის ნაციონალიზაცია და მისი გადაცემა მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ყველა მსხვილი მამულისაგან (100-დან 300 დესეტინამდე) სანიმუშო მეურნეობის მოწყობა, რომელიც დაექვემდებარებოდა საბჭოების კონტროლს.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში წამოაყენა სოფლად კოლმეურნეობებისა და მსხვილი სოციალისტური მეურნეობების მოწყობის ტექნიკური გეგმა. ეს გეგმა შემდეგში საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებით განხორციელდა. საბჭოთა კავშირის მდიდარ გამოცდილებას სოფლად სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ახლა ფართოდ იყენებენ თავიანთ მუშაობაში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები.

რაც შეეხება ბანკების საკითხს, ვ. ი. ლენინს მიზანშეწონილად მიაჩნდა ჩვენი ქვეყნის ყველა ბანკის შეერთება ერთი საერთო ეროვნული ბანკის შექმნა, რომელზეც უნდა დაწესებულიყო მუშათა საბჭოების კონტროლი. ვ. ი. ლენინი დაუყოვნებლივ სამოქმედო საბრძოლო ამოცანად აყენებდა პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოების მეთოდებად და პროდუქტების გადანაწილებაზე მუშათა დეპუტატების საბჭოების მხრივ კონტროლის განხორციელებას.

* * *

აპრილის თეზისებში პარტიული ამოცანების დარგში ვ. ი. ლენინმა წამოაყენა პარტიის პროგრამისა და სახელწოდების შეცვლა. პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა აღარ შეეფერებოდა ახალ ისტორიულ ვითარებას, აღარ უპასუხებდა ცხოვრების მიერ წამოყენებულ ამოცანებს. ძველ პროგრამაში მოცემული არ იყო იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომების დახასიათება, არაფერი არ იყო ნათქვამი საბჭოთა რესპუბლიკის შექმნაზე და ეს საკითხი საბრძოლო ამოცანად არ იყო წამოყენებული. სრულიად არაფერი არ იყო ნათქვამი სოციალისტური რევოლუციის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ვ. ი. ლენინის აზრით, ყველა ეს საკითხი შეტანილი უნდა ყოფილიყო პარტიის ახალ პროგრამაში.

ვ. ი. ლენინა წინადადებას აყენებდა პარტიის ძველი სახელწოდება — სოციალ-დემოკრატიული შეცვლილიყო, რადგან ამ სახელწოდებას ჩირქი მოსცხეს მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა და რუსეთის მენშევიკებმა, რომლებმაც უღალატეს სოციალიზმს. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ უფრო მიზანშეწონილი იყო ბოლშევიკური პარტიისათვის ეწოდებინათ კომუნისტური პარტია, როგორც ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში უწოდებდნენ მას კ. მარქსი და ფ. ენგელსი. პარტიის ასეთი სახელწოდება პოლიტიკურად სწორია, ვინაიდან კომუნისტური პარტიის მიზანს შეადგენს კომუნიზმის აშენება.

აპრილის თეზისებში ვ. ი. ლენინმა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დარგში წამოაყენა ამოცანა ახალი სოციალისტური ინტერნაციონალის ჩამოყალიბების, ოპორტუნიზმისაგან თავისუფალი III, კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის შესახებ. ის მართლაც შეიქმნა ლენინისა და ლენინელების ხელმძღვანელობით 1919 წლის მარტში მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესზე. მან იარსება 24 წელს (1919-1943 წ.წ.). კომუნისტური ინტერნაციონალი წარმოიშვა და განვითარდა სოციალ-დემოკრატიზმის, მეორე ინტერნაციონალისა და ყველა სახის ოპორტუნისტების წინააღმდეგ შეუპოვარ იდეურ ბრძოლაში. III ინტერნაციონალმა დიდ როლი შეასრულა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა თავის განთქმულ აპრილის თეზისებში შეიმუშავა არა მარტო გენიალური სტრატეგიული გეგმა, არამედ სწორი ტაქტიკაც, რომელიც ხელს უწყობდა სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელებას რევოლუციის პირველი ეტაპიდან რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასვლისათვის.

პარტიის რიგებში კამენევის, რიკოვისა და სხვების სახით აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც გაიღაშქრეს აპრილის თეზისებში წაყენებული კონკრეტული საბრძოლო გეგმის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა კამენევი, რიკოვი და მათი მსგავსნი, რომლებიც გამოდიოდნენ აპრილის თეზისების წინააღმდეგ, და აღნიშნა, რომ პარტია თავისი სამოქმედო ტაქტიკის შემუშავების დროს უნდა გამოდიოდეს კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან და არა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორიული მსჯელობიდან.

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუშია. ვ. ი. ლენინმა, როგორც დიდმა რევოლუციონერმა და მეცნიერების კორიფემ, ყველა სახის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცვა და განავითარა მარქსიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში. ამ პერიოდში ლენინის უდიდეს დამსახურებაზე ი. ბ. სტალინი წერდა: „მოიგონეთ 1917 წელი. რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო მდგომარეობის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ლენინი მაშინ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობიდან არის სოციალიზმის გამარჯვება რუსეთში. ეს მეტად მოულოდნელი დასკვნა იყო იმდროინდელი მეცნიერების მრავალი ადამიანისათვის. პლეხანოვი, მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანი, სიძულვილით ლაპარაკობდა მაშინ ლენინზე და ამტკიცებდა — ლენინი „ბოდავსო“. სხვები, მეცნიერების არანაკლებ ცნობილი ადამიანები, ამტკიცებდნენ — „ლენინი შეიშალა“, საჭიროა მისი სადმე შორს გადაკარგვაო. ლენინის წინააღმდეგ ღმუოდნენ მაშინ მეცნიერების ყველა და ყოველგვარი ადამიანები, როგორც ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ანგრევს მეცნიერებას. მაგრამ ლენინს არ შეეშინდა წასულიყო მდინარების წინააღმდეგ, უძრაობის წინააღმდეგ. და ლენინმა გაიმარჯვა“.

ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები, მენშევიკები და ესერები ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებს გაშმაგებული ღმუილით შეხვდნენ. დაიწყო კომუნისტებისა და განსაკუთრებით რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დევნა მისი ფიზიკური მოსპობის მიზნით.

კომუნისტური პარტია, მისი დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი ვერ შეაშინა ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების მუქარამ. კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გააჩაღა მგზნებარე რევოლუციური მუშაობა მასებში რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

1917 წლის 6 (19) აპრილს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები და მოიწონა ისინი. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა ყველა პარტიულ ორგანიზაციას შეესწავლათ და განეხილათ ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები. ამ მიზნით თეზისები 7 (20) აპრილს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“, მოსკოვის „სოციალ-დემოკრატში“, ხარკოვის „პროლეტარში“ და მალე დაიბეჭდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ პრესაში. ამ გზით აპრილის თეზისები სწრაფად გავრცელდა მშრომელთა ფართო მასებში, რომლებიც დიდი ინტერესით ეცნობოდნენ და სწავლობდნენ მათ. პეტროგრადის აპრილის საქალაქო კონფერენციამ (რომელიც 14 (27) აპრილს შედგა) მოიწონა ლენინის აპრილის თეზისები. მალე ისინი მთელი პარტიის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოიწონა და ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები კომუნისტური პარტიის სამოქმედო პროგრამად გახდა სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელებისათვის ბრძოლაში. ლენინის აპრილის თეზისები საფუძვლად დაედო ბოლშევიკების (VII) აპრილის კონფერენციის მუშაობას, რომელიც შედგა 1917 წლის 24 აპრილს (7 მაისს) პეტროგრადში.

კონფერენცია რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში გაჰყვა ლენინსა და ლენინელებს. აპრილის თეზისების საფუძველზე მან შეიმუშავა პარტიის სამოქმედო პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის შესახებ.

* * *

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებში შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმასა და ტაქტიკას უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორე დადასტურა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და სოციალიზმის გამარჯვებამ საბჭოთა კავშირში. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ბოლშევიზმი ყველა ქვეყნისათვის არის ტაქტიკის ნიმუში.

ვ. ი. ლენინის გენიალური გეგმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემადგენელ ნაწილს, ამიტომ მას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა. ის არ არის მხოლოდ წმინდა რუსული მოვლენა.

ეს თეორია, როგორც ნიმუში, სახელმძღვანელოა ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა და მათი კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის. აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის შესახებ სხვა ქვეყნებმა გადაიტანონ და გამოიყენონ მექანიკურად, თავიანთი ქვეყნის პირობების გაუთვალისწინებლად; პირიქით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენება უნდა მოხდეს შემოქმედებითად, თვითეული ქვეყნის ეკონომიკის, კლასობრივი ბრძოლისა და საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, როგორც ამას შესანიშნავად აკეთებს ჩინეთის კომუნისტური პარტია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის მომზადებასა და განხორციელებაში უდიდესი როლი შეასრულა ლენინის აპრილის თეზისებმა, პირველად გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი, საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმს და გაკაფა საერთო მთავარი გზა კომუნიზმისაკენ, რომელიც წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს ყველა ქვეყნის მშრომელთათვის ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ბ. ზაქარიაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისათვის

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღის — ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისათვის მოსამზადებლად. ფილიალი ამ თარიღისათვის ახორციელებს მთელ რიგ გამოცემებს. უკვე მომზადებულია დასაბეჭდად სპეციალური გამოშვება „ფილიალის შრომები, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი“. გამოშვებაში შედის სტატიები და მასალები, რომლებიც აშუქებენ. დიდი ოქტომბრის გავლენას საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაზე, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლას რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

კრებულში ქვეყნდება სტატიები: ვ. ესაიაშვილისა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“, ჯ. ყვანიასი — „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის“, გ. სიხარულიძისა — „კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო ყრილობა (1917 წ. 2-7 ოქტომბერი)“, ს. ბერიძისა — „ბოლშევიკური გაზეთები საქართველოში 1917 წელს“, ა. აღლაძისა — „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა მასებისათვის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში“, ა. კიკვიძისა — „ბრძოლა უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ საქართველოში (1918—1920 წწ.).,“ ი. კაჭარავასი — „საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები საქართველოში“, ლ. ებანოიძისა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ეროვნული საკითხის გადაწყვეტა საქართველოში“.

კრებულშია ძველი ბოლშევიკების — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილეების — ს. თოდრიასა, ა. აბაევის, ბ. ხვედელიძის, რ. ღვედაშვილისა და სხვ. მოგონებათა განყოფილება.

ფილიალმა მოამზადა კოლექტიური შრომა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ ქართულ და რუსულ ენებზე. იქ გაშუქებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია მარქსიზმის გავრცელებისათვის ბრძოლის დაწყებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მოიცავს პერიოდს 1883 წლიდან 1921 წლამდე.

ინსტიტუტის ფილიალმა საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად დაამთავრა მომზადება დოკუმენტების დიდი კრებულისა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი — „ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“ — მოიცავს 1917-1921 წლების პერიოდს, მეორე ნაწილი — „ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის“ — მოიცავს 1921-1925 წლების პერიოდს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიების დიდი კრებულის მზადდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტთან და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. ფილიალი მონაწილეობას იღებს მასალების მომზადებაში სტატიების იმ კრებულისათვის, რომელსაც ოქტომბრის 40 წლისთავისათვის გამოსცემს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი.

წელს გამოვა ინსტიტუტის ბიოგრაფიული ნარკვევები საქართველოს თვალსაჩინო პროფესიული რევოლუციონერების — ნოე ბუაჩიძის, მიხეილ ბოჭორიძის, მიხეილ დავითაშვილის, ალიოშა ჯაფარიძის შესახებ. ინსტიტუტი დიდ მუშაობას ეწევა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიურ მონაწილეთა მოგონებების შეგროვების საქმეში.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის გამოცემანი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის დაეხმარება პარტიულ, საბჭოთა მუშაკებს, პროპაგანდისტებს, მკითხველთა ფართო წრეებს უფრო ღრმად გაეცნონ იმას, თუ როგორ მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა დიდი ოქტომბრის დროშით თავიანთი განთავისუფლება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, რა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვისა და დიდი რუსი ხალხის და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის უანგარო დახმარების შედეგად.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან ერთად ინსტიტუტი ამზადებს დოკუმენტებისა და მასალების დიდ გამოფენას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის შესახებ. იგი ოქტომბრის დღეებში გაიხსნება.

მზადდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი მონაწილეობას მიიღებს დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაში, რომელსაც მოაწყობენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიები ქალაქ ერევანში. დასახულია მოეწყოს გამსვლელი სამეცნიერო სესიები დიდ საწარმოებში.

ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერმა მუშაკებმა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში წასაკითხავად მოამზადეს ლექციები, რომლებიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს — „ლენინი და ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“, „ოქტომბრის რევოლუცია და ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“, „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოში ეროვნული საკითხის გადაჭრა“ და სხვები. (საქდესი).

თბილისისა და რიგის მშრომელთა შეჯიბრება

რიგა, 15 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). პარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში გაიმართა ქალაქ რიგის წარმოების ახალგაზრდა მოწინავეთა შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებმა. აქ საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ორ ქალაქს — რიგასა და თბილისს შორის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

შეკრებაზე გამოსულმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. მელაძემ თქვა:

— თქვენს ქალაქში ყოფნის დროს ჩვენი დელეგაციის წევრები დარწმუნდნენ, რომ ლატვიის მშრომელებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ჩვენ თქვენთან ჩამოვედით, რათა გავეცნოთ ამ წარმატებებს, დავდოთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც ხელს შეუწყობს ორი მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, მათი მეგობრული ურთიერთობის გაფართოებას.

შეკრებილთა წინაშე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ე. კალნბერზინმა.

რიგის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის ხარატმა ამხ. ავერინმა, სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ლაზდინმა, რიგის დეპოს მემანქანემ ამხ. გავრილოვმა და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა დიდი აღმავლობით ემზადებიან მშრომელები ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის, გამოთქვეს მზადყოფნა ახალი წარმატებებით აღნიშნონ თბილისის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრება.

მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმა შეასრულონ ვადამდე — 15 დეკემბრისათვის. ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქალაქო მეურნეობის, კერძოდ, საბინაო მშენებლობის შემდგომ განვითარებას, საწარმოებში შინარეზერვების გამოყენებას, ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

გადაწყდა შეჯიბრების წლის პირველი ნახევრის შედეგები შეჯამდეს თბილისში, ხოლო მიმდინარე წლის შეჯიბრების საბოლოო შედეგები — რიგაში.

თბილისის მშრომელთა დელეგაცია საქართველოში გაემგზავრა. რიგის ვაგზალში სტუმრები გააცილეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოების, სამრეწველო საწარმოთა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრა ლატვიის სსრ დედაქალაქის მშრომელებთან გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მკაფიო დემონსტრაციად.

საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის

★ ★ ★ ★ ★ ★

საყურადღებო შენიშვნები

მრავალსფეხურიანი და წვრილპროფილიანი სტრუქტურის მქონე მართვის ორგანიზაციიდან მართვის გამარტივებული სტრუქტურის ორგანიზაციულ ფორმებზე გადასვლა უთუოდ მისაღები და მისასალმებელი ღონისძიებაა. ამით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნება ადგილებზე, რაც უსათუოდ გააუმჯობესებს მრეწველობისა და მშენებლობის განვითარებას. მართვის ამ განზრახულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დგება რამდენიმე კითხვა, რომლებზეც საჭიროა პასუხი გავცეთ. მაგალითად, ასეთი კითხვა:

— როგორ უნდა მოეწყოს, მრეწველობისა და მშენებლობის მართვა ისეთ ავტონომიურ ოლქში, როგორიც სამხრეთ ოსეთის ოლქია. საჭირო და მიზანშეწონილია თუ არა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გამოვყოთ ცალკე ეკონომიურ რაიონად, მაშასადამე, შევქმნათ ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭო? ეკონომიური რაიონების მიხედვით შექმნილი სახალხო მეურნეობის საბჭოები დაგეგმარების საკითხთა გადაჭრაში დაექვემდებარებიან ორ ინსტანციას — მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობას და საბჭოთა კავშირის მთავრობას. თუ ავტონომიურ ოლქს გამოვყოფთ ცალკე ეკონომიურ რაიონად, რაც ამ შემთხვევაში მაინცდამაინც მიზანშეწონილად არ გვეჩვენება — დაქვემდებარების საფეხურთა რიცხვი იზრდება, ეს გაართულებს სსრ კავშირის სახელმწიფო კომისიის მუშაობას, თვითონ სამხრეთ ოსეთის ეკონომიური რაიონი ხელოვნურად შექმნილი აღმოჩნდება, რადგან სავსებით დამოკიდებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის სხვა რაიონებზე.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო გვგონია, რომ სამხრეთ ოსეთში ცალკე საოლქო სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნა არ იქნება გამართლებული. ჩვენი შეხედულებით უმჯობესია საქართველო აღიარებულ იქნას ერთ ეკონომიურ რაიონად, შეიქმნას სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭო, რომელიც უხელმძღვანელებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეს.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ სამხრეთ ოსეთში მრეწველობა განუხრელად ვითარდება, იზრდება მშენებლობის ნასტაბები. მაშასადამე, საჭირო იქნება საოლქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას მრეწველობისა და მშენებლობის სამმართველო, რომელიც უნდა აღიჭურვოს სამეურნეო და ფინანსური მოღვაწეობისათვის ყველა საჭირო უფლებით და რომელიც სავსებით პასუხისმგებელი უნდა იქნას საწარმოო გეგმების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულებისათვის. სამხრეთ ოსეთის მრეწველობისა და მშენებლობის სამმართველო, როგორც დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაცია, რომელსაც ექნება ტრესტის უფლებები, უშუალოდ შევა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში.

ვინაიდან მრეწველობისა და მშენებლობის რესპუბლიკური და საკავშირო სამინისტროები აღარ იქნება, ის საწარმოები, რომლებიც ამჟამად ამ სამინისტროთა სისტემაში არიან გაერთიანებული (კვაისის სამადნო სამმართველო, სტალინირის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატი, წნელისის თალკის ქარხანა), უნდა დავუქვემდებაროთ მრეწველობისა და მშენებლობის საოლქო სამმართველოს.

მინდა შევჩერდე ერთ მნიშვნელოვან საკითხზე — სახალხო მეურნეობის საბანკო კრედიტით მომსახურებაზე. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის თეზისებში აღნიშნულია, რომ მართვის ორგანიზაციის გარდაქმნასთან ერთად უნდა ამაღლდეს სახელმწიფო ბანკისა და გრძელვადიანი კრედიტის ბანკების როლი, უნდა გაძლიერდეს მათი კავშირი სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, ცალკე საწარმოებთან.

არსებითად გრძელვადიანი კრედიტის ბანკების ქსელი ვერ მოიცავს ყველა ქალაქს. მაგალითად, სტალინირში არც ერთ სპეციალურ ბანკს, გარდა სასოფლო-სამეურნეო ბანკისა, განყოფილება არა აქვს, ხოლო ის სპეციალური ბანკები, რომლებიც მოსკოვში და სხვა დიდ ქალაქებში არიან, ვერ სწვდებიან ყველა ადგილს, ახორციელებენ საერთო ხელმძღვანელობას, ხოლო ადგილებზე მრეწველობისა და მშენებლობის მომსახურება უხდებათ სახელმწიფო ბანკის განყოფილებებს. ამრიგად, გამოდის, რომ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ მრეწველობას, მშენებლობას, ზოგჯერ სოფლის მეურნეობასაც, დარგობრივი ბანკები ხელმძღვანელობენ.

დგება საკითხი, ხომ არ იქნება მიზანშეწონილი, რომ გავაუქმოთ დარგობრივი სპეციალური ბანკები — სამრეწველო ბანკი, სასოფლო-სამეურნეო ბანკი, ცეკომბანკი და შევუერთოთ ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, რომელიც აღჭურვილია ემისიის უფლებით, ახორციელებს მოკლევადიან დაკრედიტებას, წარმოადგენს მთელი ქვეყნის ანგარიშწარმოების ცენტრს.

ამ ღონისძიებათა განხორციელება გაამარტივებს საწარმოების, მშენებლობების, მტს-ების, კოლმეურნეობების მუშაობას, ვინაიდან მათ საქმე ექნებათ ერთ ბანკთან, გაუადვილებს ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობის საბჭოებს, რომლებსაც აგრეთვე ერთ ბანკთან ექნებათ საქმე.

ვ. პოკროვსკი,
სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სამხრეთ ოსეთის საოლქო კანტორის მმართველი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის სტრუქტურის შესახებ

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ამხ. გ. ჯავახიშვილის წერილმა, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე, საერთო ყურადღება მიიქცია.

საჭიროდ მიმაჩნია გავაკეთო ზოგიერთი შენიშვნა. საქმე ის არის, რომ ჩვენში სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება იწვევს სოფლის მეურნეობის ასევე სწრაფ აღმავლობას, სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების შეუნელებელ ზრდას. ეს თავის გამოსახულებას პოულობს იმაში, რომ სოფლად თანდათან ფართოვდება ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა რაოდენობა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების ირგვლივ ყალიბდებიან კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ცენტრები, უბნები და დაბები დასასვენებელი პარკებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სანახაობით და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით.

მაშასადამე, რაც დრო გავა, სოფლად მშენებლობის მასშტაბები კი არ შეიკვეცება, არამედ, პირიქით, უფრო და უფრო გაფართოვდება. ასეთი ვითარება, ჩემი აზრით, მოითხოვს იმას, რომ, რესპუბლიკაში არსებობდეს სპეციალური ორგანიზაცია, რომელსაც მიენდობა სასოფლო მშენებლობის საქმის ხელმძღვანელობა.

წარმოდგენილ სქემაში ნავარაუდევია შეიქმნას სასოფლო და საქალაქო მშენებლობის ტრესტი. საქალაქო მშენებლობას, ცნობილია, ახასიათებს თავის სპეციფიკა. ასევე განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება სასოფლო მშენებლობა. აქედან შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ საქმისათვის უმჯობესი იქნება საქალაქო მშენებლობის ტრესტთან ერთად შეიქმნას სასოფლო მშენებლობის ცალკე ტრესტი.

მეორე შენიშვნა ასეთია: საქართველოში საფუძველი ეყრება მძლავრ სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, რაც, რამდენადაც ვიცი, ახალი საქმეა საერთოდ მანქანათმშენებლობის ისტორიაში. ხომ არ იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი, რომ ამ მხრივ დაწყებული მუშაობის ხელმძღვანელობა, საერთოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი საწარმოების გამგებლობა გადაგვეცა სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოს ცალკე განყოფილებისათვის და არა ზოგადი ჩარხმშენებლობისა და მანქანათმშენებლობის ფუნქციონალური სამმართველოსთვის.

ზ. ალუღიშვილი,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინჟინერი.

უკეთ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ბევრ მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს, მათ შორის მეც, გვაქვს შენიშვნები და წინადადებები, რომელთა შესახებ მინდა შევჩერდე ამ წერილში.

ჩვენს ქარხანაში არის საკმაოდ მძლავრი სადურგლო საამქრო, რომელიც წინათ მომსახურებას უწევდა ამიერკავკასიის რკინიგზას, ამჟამად კი თითქმის მხოლოდ ქარხნის საჭიროებისათვის მუშაობს. ამის გამო საამქროს სიმძლავრე სანახევროდაც არ არის გამოყენებული, მანქანა დანადგარები დღეში მხოლოდ 3-4 საათს მუშაობენ. კარგი იქნება, თუ საამქრო გადაეცემა რკინიგზის სამმართველოს. ეს შექმნის პირობებს სხვა საწარმოების დაკვეთებით დავტვირთოთ იგი.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სახარატო-მექანიკურ საამქროში. საწარმოო ფართობისა და ჩარხების პარკის გაუდიდებლად ამ საამქროში მომუშავეებს შეგვიძლია ერთნახევარჯერ მეტი პროდუქცია გამოვუშვათ. ამისათვის საჭიროა საამქრო დაკომპლექტდეს კვალიფიციური კადრებით და გადავიდეს ორცვლიან მუშაობაზე. ამ ღონისძიების განხორციელება საშუალებას მოგვცემს ცენტრალიზებული წესით მოვამარაგოთ ამიერკავკასიის რკინიგზა საჭირო დეტალებით და განვტვირთოთ დეპოებთან არსებული მცირე სიმძლავრის, ხშირად კუსტარული სახარატო სახელოსნოები.

მინდა ზოგი რამ ვთქვა შრომის ნოვატორული მეთოდების გავრცელების გაუმჯობესების შესახებ. დღემდე ჩვენს სისტემაში შემავალი ქარხნები ერთმანეთს უგზავნიდნენ ინფორმაციას შრომის ახალი მეთოდების შემუშავებისა და ტექნიკური გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ინფორმაციის ასეთ გაცვლას არარეგულარული ხასიათი ჰქონდა და ხშირად ერთ საწარმოში მოპოვებული მიღწევები უცნობი რჩებოდა მეორე საწარმოს კოლექტივისათვის. ჩვენი აზრით, საჭიროა შეიქმნას სათანადო ცენტრალური ორგანო, რომელიც ყველა ქარხნიდან მოაგროვებს ინფორმაციას, შეამოწმებს უკვე გამოყენებულ შრომის მეთოდებს, რაციონალიზატორულ წინადადებებსა და გამოგონებებს და შემდეგ სათანადოდ შედგენილ ტექნიკურ ინფორმაციას დაუგზავნის ყველა ქარხანას. ეს შესაძლებელს გახდის სწრაფად გავავრცელოთ ნოვატორთა მიღწევები.

როგორც ცნობილია, ბევრ ქარხანაში, მათ შორის ჩვენს ქარხანაშიც, საჭირისებს და ლითონდასამუშავებელ სხვა ხელსაწყოებს ხშირად კუსტარულად ვამზადებთ, რაც დაახლოებით 10-ჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე სპეციალურ ქარხნებში დამზადებული საჭირისები. უსათუოდ საჭიროა შეიქმნას თბილისში მძლავრი სპეციალური ქარხანა, რომელიც მჭრელი იარაღებით მოამარაგებს ჩვენი რესპუბლიკის ყველა ლითონდამმუშავებელ საწარმოს.

ი. ჭუმბურიძე,
თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი.

ორი განსახორციელებელი ღონისძიება

საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ამხ. გ. ჯავახიშვილის წერილში აღძრული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშაობის პრაქტიკიდან ნინდა შემოვიტანო ორი წინადადება.

ცნობილია, რომ აბრეშუმის წარმოების ძირითადი ნედლეულია აბრეშუმის პარკი, რომლის პირველადს გადამუშავებას აწარმოებენ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ადგილობრივი ორგანოები. ისინი გადამუშავების ტექნოლოგიას ზუსტად ვერ იცავენ და ყოველწლიურად ხარისხდაქვეითებულ პარკს აბარებენ ძაფსაღებ ფაბრიკებს. მაგალითად, გასულ წელს საქართველოს აბრეშუმის ტრესტს, ზემდგომ ორგანოს მათზე შეღავათი რომ არ გაეკეთებინათ, მარტო ჩვენი ფაბრიკისათვის ჯარიმის სახით უნდა გადაეხადა დაახლოებით ორი მილიონი მანეთი.

უმჯობესი იქნება პარკის პირველადს გადამუშავებაში მონაწილეობდნენ აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკები. თუ ჩაის ფაბრიკები თვითონ ხელმძღვანელობენ მიმღები პუნქტების მეშვეობით კოლმეურნეობებიდან მოკრეფილი ჩაის ფოთლის მიღებასა და ტრანსპორტირებას, რატომ არ შეიძლება ასე მოხდეს აბრეშუმის პარკის დამზადების დარგშიც?

ყურადღებას მოითხოვს უხარისხო პარკის ე. წ. ნარჩენების გადამუშავების საკითხი. მოსკოვში არის ფაბრიკა „პროლეტარსკი ტრუდ“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნარჩენებზე მუშაობს, მაშინ როცა მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში მეაბრეშუმეობას არ მისდევენ. მარტო ჩვენი ფაბრიკიდან ყოველწლიურად „პროლეტარსკი ტრუდს“ ეგზავნება 120-150 ტონა ნედლეული, რაც 400-450 ათას მანეთ ზედმეტ ხარჯებს იწვევს, რესპუბლიკის მასშტაბით კი რამდენჯერმე მეტი იქნება. ხომ არ მოძებნდა საკითხი, რომ პარკის ნარჩენებს გადასამუშავებლად მოსკოვში კი არ ვგზავნიდეთ, არამედ აქვე ადგილზე ვამუშავებდეთ? სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს უფრო რენტაბელური იქნება.

ნ. ჩიგოგიძე,
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის საგეგმო განყოფილების გამგე.

მეაბრეშუმეობის მართვის საკითხები

ხელმძღვანელობის მიახლოება წარმოებასთან საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, მათთვის კონკრეტულ-ოპერატიული დახმარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე, რომელზეც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს განვიხილავდით, აღინიშნა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველო, რომელიც ალბათ შეიქმნება, ტერიტორიულად იქნება დასავლეთ საქართველოში, სადაც საქართველოს აბრეშუმის ნედლეულისა და გადასამუშავებელი საწარმოების უდიდესი ნაწილია განლაგებული.

მინდა შევეხო აბრეშუმის მრეწველობის მართვის სტრუქტურის საკითხს. ამჟამად რაიაბრეშუმი თავისი ოფლიანებელი ბაბალეებისა და ბაბალეების ბაბალეებისა

ბაბალეებ

ბ

ბ

ბ

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ე. გერჰარდსენის პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით პრესაში, 21 მარტს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნორვეგიაში მ. გ. გრიბანოვმა ინახულა პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი (**რედ. შენიშვნა** ნ. ა. ბულგანინის წერილი საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა 27 მარტს).

13 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი. ელჩმა გადასცა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ე. გერჰარდსენის პასუხი ნ. ა. ბულგანინის ამა წლის 19 მარტის წერილზე.

ქვემოთ ქვეყნდება ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ე. გერჰარდსენის საპასუხო წერილის ტექსტი.

„მის ალმატეგულლეგას
ბ-ნ პრემიერ-მინისტრს
ნ. ბულგანინს
ქ. მოსკოვი

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

დიდი ყურადღებით შევისწავლე შინაარსი თქვენი 1957 წლის 19 მარტის წერილისა ჩემდამი. მთავრობასთან და სხვა კონსტიტუციურ ორგანოებთან ერთად გულდასმით განვიხილე როგორც თქვენი აზრები საერთაშორისო მდგომარეობაზე, ისე თქვენი შენიშვნები ნორვეგიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის შესახებ.

თქვენ აღნიშნავთ, რომ საერთაშორისო ვითარება უკანასკნელ ხანს სერიოზულად გართულდა, და განსაკუთრებით აღნიშნავთ ეგვიპტისა და უნგრეთის ამბებს. ჩვენ ნორვეგიაში აგრეთვე შეშფოთებული ვართ იმის გამო, რომ გაუარესდა საერთაშორისო მდგომარეობა. პატარა ქვეყნები — და მათი ხალხების თავისუფლება და დამოუკიდებლობა — ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობის საერთო განვითარებაზე.

მე უფრო დაწვრილებით არ შევეხები არც უნგრეთისა და არც ახლო აღმოსავლეთის ამბების შეფასებას. ნორვეგიის თვალსაზრისი ნათლად იყო გამოთქმული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ამ საკითხების განხილვის დროს. ნორვეგიის დელეგაციამ გადაჭრით დაიკავა უარყოფითი პოზიცია სამხედრო ინტერვენციის მიმართ როგორც ეგვიპტეში, ისე უნგრეთში. მაგრამ რაც შეეხება უნგრეთს, არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო, რომ ნორვეგიის მთავრობა, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა, იმ აზრისაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ხალხის აჯანყებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ვითარების განვითარება ადასტურებს, რომ ამჟამად მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ნდობა და თანამშრომლობა, როგორიც საჭიროა ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნორვეგიაში იმედი ჰქონდათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გახდებოდა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა უზრუნველეყო ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნის მშვიდობა და უშიშროება. მაგრამ, როცა ცხადი გახდა, რომ ამ მსოფლიო ორგანიზაციამ საჭირო მფარველობა ვერ გაუწია მასში შემავალ სახელმწიფოებს, ნორვეგიის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია ეძებნა უშიშროების უზრუნველყოფა სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობაში რეგიონალურ საფუძველზე და ამიტომ 1949 წელს შეუერთდა ატლანტიკის პაქტს.

მოსკოვში თქვენთან და თქვენს კოლეგებთან ჩემი საუბრების დროს პირადად შესაძლებლობა მომეცა აღმენიშნა საერთაშორისო ვითარების განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, რომელმაც ეს ნაბიჯი გამოიწვია. როგორც ეს უკვე გაკეთებული იყო წინათ ნორვეგიის მთავრობის ნოტებში საბჭოთა მთავრობისადმი, კვლავ ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ნორვეგიის მთავრობა არასოდეს არ შეუწყობს ხელს პოლიტიკას, რომელიც ისახავს აგრესიულ მიზნებს, და რომ იგი ნებას არ მისცემს, რომ ნორვეგიის ტერიტორია გამოყენებულ იქნას ასეთი პოლიტიკის ინტერესებისათვის. ატლანტიკის პაქტის დებულებანი ურთიერთ დახმარების ვალდებულებათა შესახებ გამოყენებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაქტის რომელიმე წევრს თავს დაესხმიან. ეს დებულებანი ცხადყოფენ, რომ ამ პაქტის ჩარჩოებში თანამშრომლობის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ პაქტის წევრები დაიცვას გარედან თავდასხმისაგან და მათ შორის სოლიდარული დარაზმულობის გზით თავიდან აიცილოს ომი. ნორვეგიელი ხალხი ისევე სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით და განმტკიცებით, როგორც თქვენი ქვეყნის ხალხები, და სწორედ ეს მოსაზრება, ჩვენი ქვეყნის უშიშროების შესახებ მოსაზრებებთან ერთად, განსაზღვრავს ნორვეგიის საგარეო პოლიტიკას.

ნორვეგიის მთავრობა უცვლელად მოქმედებდა მისი განცხადებული განზრახვის შესაბამისად—ნება არ მისცეს უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებს ნორვეგიის ტერიტორიაზე განლაგებისა მანამდე, სანამ ნორვეგია არ განიცდის თავდასხმას ან თავდასხმის მუქარას. მე მახარებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა კმაყოფილებით ადასტურებს ამას.

მართალია, თქვენ ამბობთ, რომ თანამედროვე ვითარებაში ეს არ კმარა, იმიტომ რომ ნორვეგია, ამტკიცებთ თქვენ, ნატოში თავისი მონაწილეობის შედეგად, შეიძლება იძულებული გახდეს, თავისი ნებისა და თავისი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, დაეთანხმოს ნორვეგიის ტერიტორიაზე უცხოეთის ბომბდამშენების, სამხედრო ხომალდებისა და ატომური იარაღის განლაგებას. ნორვეგიის მთავრობამ გადაჭრით უნდა განაცხადოს, რომ ასეთი აზრი დამყარებულია გაუგებრობაზე. ატლანტიკის პაქტია ჩარჩოებში თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი სწორედ ის არის, რომ პაქტის წევრი ყოველი ქვეყანა სავსებით ინარჩუნებს უფლებას მოიქცეს თავისი შეხედულებისამებრ და თავისთავად იგულისხმება ისეთ სასიცოცხლო საკითხებში, რომლებზეც აქ ლაპარაკია. ამრიგად, ნორვეგიის კონსტიტუციური ორგანოები ყოველ ცალკე შემთხვევაში თვითონ გადაწყვეტენ, შექმნილი საერთაშორისო ვითარების მიხედვით, მოელის თუ არა ჩვენს ქვეყანას თავდასხმის საფრთხე.

სავსებით ბუნებრივია, რომ დიდი სამხედრო კონტინგენტების არსებობა, საერთოდ, და ახალ სახეობათა იარაღის შემოღება, განსაკუთრებით, ყველა ქვეყანაში იწვევს შეშფოთებისა და ურწმენობის გრძნობას. ნორვეგიის მთავრობა სიხარულით მიესალმებოდა ისეთ მოწესრიგებას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ასეთი იარაღის შემცირებასა და შეძლებისდაგვარად თავიდან აცილებას, მაგრამ, მისი აზრით, ეს შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ურთიერთ საფუძველზე და საერთაშორისო მოლაპარაკების გზით. სანამ დადებული არ არის რაიმე საერთაშორისო შეთანხმება განიარაღების შესახებ საიმედო კონტროლით, ყოველი ცალკეული მთავრობის საქმეა თავისი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა ისე, როგორც მას საუკეთესოდ მიაჩნია.

თქვენს წერილში აღნიშნავთ, რომ არა მარტო დიდ სახელმწიფოებს, არამედ შედარებით პატარა ქვეყნებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ საკითხების გადაჭრას. მაგრამ ასევე ცხადია ისიც, რომ პატარა ქვეყნების წვლილი არ შეიძლება მცირე არ იყოს იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაც შეუძლიათ ქვეყნებს, რომლებიც როგორც მოსახლეობის რაოდენობით, რესურსებით, ისე შეიარაღებით აბსოლუტურად გაბატონებული არიან მსოფლიოში. მე იმ აზრისა ვარ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ საბჭოთა კავშირს როგორც დიდ სახელმწიფოს შეუძლია ამ საქმეში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

ნორვეგიის მთავრობამ კმაყოფილებით აღნიშნა თქვენი აზრი, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განიარაღების პრობლემას და რომ მას განიარაღება მიაჩნია სავსებით რეალური ამოცანად.

განიარაღება ითვალისწინებს ერთა გულახდილობასა და ნდობას და იგი თავისთავად ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. ევროპის ცალკეული ქვეყნების უშიშროების პრობლემის ახალი პოლიტიკური გადაწყვეტის გამონახვა და ამით ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომლის დროსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეძლებს ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში შეასრულოს ის როლი ამ საკითხში, რომელსაც დღეს უშიშროების რეგიონალური ორგანიზაციები ასრულებენ, შესაძლებელი იქნება საერთაშორისო მასშტაბით განიარაღების შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

ნორვეგიის მთავრობა ანგარიშს უწევს იმას, რომ მერყეევი საერთაშორისო მდგომარეობისას, რომელიც კვლავ არსებობს მსოფლიოში, მთავრობებს, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა თავიანთი ხალხების უშიშროებისათვის, არ შეუძლიათ დადონ ფართო და ვალდებულებათა დამაკისრებელი შეთანხმებანი განიარაღების შესახებ, თუ ასეთი შეთანხმება ყოველ ეტაპზე არ განხორციელდა სავსებით საიმედო კონტროლით. სანამ ასეთი მდგომარეობა არსებობს, ნორვეგიის მხარის აზრით, არის უფრო ფართო შესაძლებლობა მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები განიარაღების პრობლემის ისეთ განსაზღვრულ დარგებში, სადაც არის ერთიანობის მიღწევის რეალური შესაძლებლობანი.

ნორვეგიის მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნას ერთიანობა იმ პრობლემების გადაჭრის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ატომგულის იარაღთან. თქვენი მთავრობისათვის, რა თქმა უნდა, ცნობილია წინადადება ასეთი იარაღის გამოცდის წინასწარი რეგისტრაციის შესახებ, რომელიც ნორვეგიამ კანადასთან და იაპონიასთან ერთად შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და რომელსაც ამ მომენტში განიხილავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში. ნორვეგიის მთავრობას იმედი აქვს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა აგრეთვე მიიღებს მონაწილეობას ამ წინადადების განხილვაში, მხედველობაში ექნება რა, რომ სასურველია შემდეგ ეტაპზე მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომელიც კაცობრიობას დაიცავს რადიაქტიური გამოსხივების საფრთხისაგან.

თავისთავად იგულისხმება, რომ ხალხთა შორის ურთიერთობის განმტკიცების შესაძლებლობანი პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, რაც საერთაშორისო პოლიტიკაში ხდება. მაგალითად, საბჭოთა პოზიციამ უნგრეთში სახალხო აჯანყების მიმართ გამოიწვია თავისუფალი და ძლიერი რეაგირება ნორვეგიელ ხალხში და გააძნელა ჩვენი ორი ქვეყნის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარება.

ნორვეგიის მხარე მეტად კმაყოფილი იყო ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებით იმ პერიოდში, რომელიც მოჰყვა ჩემს ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში ერთი წლისა და მეტი ხნის წინათ. მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და გაფართოება ისეთ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, როგორიც ნორვეგია და საბჭოთა კავშირი არიან, თავისთავად ბუნებრივია. მაგრამ საკმარისი არ არის ვეყრდნობოდეთ ხალხებს შორის საუკუნეობრივ ტრადიციებსა და დიდი ხნის სიმპათიებს. მეგობრობა მუდამ უნდა ახლდებოდეს ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე. ნორვეგიის მთავრობა გულწრფელად იმედოვნებს, რომ საერთაშორისო ვითარების განვითარება წავა იმ მიმართულებით, რომელიც ჩვენი ორი ქვეყნის ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და კერძო პირებს წაახალისებს გააფართოონ და განამტკიცონ ურთიერთობა.

ორ მეზობელ ქვეყანას შორის სავსებით ბუნებრივად შეიძლება წარმოიშვას მთელი რიგი პრობლემები, ხშირად უფრო პრაქტიკული ხასიათისა, რომლებიც უშუალოდ უნდა განიხილონ ორი ქვეყნის ხელისუფლებმა. როგორც თქვენს წერილში აღნიშნავთ, უკანასკნელ ხანს ურთიერთსარგებლობა მოვიპოვეთ იმ საკითხების განხილვით, რომლებიც ჩვენს ორივე ქვეყანას აინტერესებს. მე მგონია, რომ თანამშრომლობის იმ ფორმებმა, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ, ცხადყვეს, რომ შეეფერებიან თავიანთ მიზანს და შეიძლება გამოყენებულ იქნან მომავალშიც. ამასთან დაკავშირებით მე დავასახელებ მდინარე პასვიკელვის ჰიდრორესურსების გამოყენების გეგმებს, რომლებზეც მუშაობს ნორვეგია-საბჭოთა კავშირის კომისია, მომავალ მოლაპარაკებას იმ საკითხების მოწესრიგების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სელაპის რეწვასთან, და საკითხს ვეშაპთნადირობის რეწვისა და თევზჭერის დარგში თანამშრომლობის შესახებ. აგრეთვე იმედი მაქვს, რომ ვაჭრობის შესახებ სამი წლის ოქმის საფუძველზე, რომელსაც ჩვენმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს, შევძლებთ განვავითაროთ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა ურთიერთსასარგებლო პირობებით.

ჩვენი ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ისეთ საკითხებში, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში, იქ, სადაც ეს ბუნებრივია, ან პირდაპირი მოლაპარაკების გზით. დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც ყველა საკითხი, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ორივე ქვეყნის ხელისუფლებისათვის, განხილულ და გადაჭრილ იქნება მეგობრული სულისკვეთებით.

დიდი პატივისცემით
ე. გერჰარდსენი“.

ბუქარესტში ჩავიდნენ ა. ა. გრომიკო და გ. კ. ჟუკოვი

ბუქარესტი, 15 აპრილი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეთანხმების დადების შესახებ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკებისათვის დღეს ბუქარესტში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი.

კომუნიკე

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების დადების შესახებ

ბუქარესტი, 15 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების განცხადებაში, რომელსაც ხელი მოაწერეს 1956 წლის 3 დეკემბერს მოსკოვში, ორივე მთავრობამ აღნიშნა, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული აგრესიული სამხედრო ბლოკების არსებობა, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, აგრეთვე ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს სოციალისტური სახელმწიფოების ახლოს ჰყავთ მრავალრიცხოვანი ჯარები და აქვთ სამხედრო ბაზები, საფრთხეს უქმნის ამ სახელმწიფოების უშიშროებას. ორივე მთავრობამ აღიარა, რომ ამ პირობებში საბჭოთა ჯარის ნაწილების დროებითი ყოფნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიზანშეწონილია შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი თავდაცვის უზრუნველსაყოფად და შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებსა და შეთანხმებებს.

იმ საკითხების მოწესრიგების მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბუქარესტში გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგე ი. კ. ზამჩევსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ნ. ნიკოლაევი, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე იუსტიციის პოლკოვნიკი კ. ნ. ნოვიკოვი.

გარდა ამისა, მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ექსპერტების ჯგუფმა.

რუმინეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. პეტროიასა (დელეგაციის ხელმძღვანელი), რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ლ. სელეტანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. მელნუშანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ი. ტუტოვიანუ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის იურიდიულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი ი. გ. მაურერი, მთავარი სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი გ. ბუკშანი.

გარდა ამისა, მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო რუმინელ ექსპერტთა ჯგუფმა.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

ამ მოლაპარაკების შედეგად 1957 წლის 15 აპრილს ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და თავდაცვის მინისტრმა გ. კ. ჟუკოვმა.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. პეტროიასამ და შეიარაღებული ძალების მინისტრმა ლ. სელეტანმა.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. ეპიშევი, საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

რუმინეთის მხრივ — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ე. ბოდნარაში, ა. მოგიოროში, პ. პორილა, მ. კონსტანტინესკუ, შ. ვოიტეკი, ა. ბირლედიანუ და მთავრობის სხვა წევრები, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სსრ კავშირის პირველობაზე მეორე გამარჯვება

(ინფორმაციული ბიულეტენიდან)

მაისის სამშაბათ სტადიონზე ცხრილში მოწინააღმდეგეთა „მდგომარეობამ“ განაპირობა. აქ ლაპარაკია გუშინდელ ასპარეზობაზე ფეხბურთში, რომელიც შედგა თბილისში ლენინგრადის „ზენიტსა“ და ადგილობრივ „დინამოს“ შორის.

პირველი ტაიმი ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით, ორმხრივი ეერიშებით, მრავალი კრიტიკული მომენტით, თუმცა ყოველივე ამას შედეგი არ მოყოლია. აქვე შეიძლება ითქვას, რომ დინამოელებს ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობები გაცილებით მეტი ჰქონდათ, ვიდრე მათ მოწინააღმდეგეებს.

ტაიმი დამთავრდა ფრედ 0:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში გაგნიძე ქვლევიძემ შეცვალა. პირველი წუთებიდანვე თამაში თბილისელთა უპირატესობით წარიმართა. მე-13 წუთზე ხასაიამ გვერდი აუარა ორ დამცველს და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა, ხოლო მე-40 წუთზე მისივე მიწოდებული ბურთი ქვლევიძემ გოლით დააგვირგვინა.

ამ მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 2:0.

დინამოელთა მცველებიდან მაღალტექნიკური თამაშით გამოირჩეოდნენ ძიაპშიპა და ელოშვილი. უკანასკნელ მატჩებში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალგაზრდა მეკარე კოტრიკაძე.

რამდენიმე სიტყვა კვლავ მსაჯობაზე. საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. ბარაშკოვი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, დაუშვა უხეში შეცდომები. ამ შეცდომებიდან დავასახელებთ მხოლოდ ორს: პირველი, — როდესაც მეორე ტაიმის მე-6 წუთზე მეკარე ფარიკინმა პირისპირ მდგომი ჭკუასელი წაქცია; მეორე, — როდესაც 38-ე წუთზე შაშკოვმა საჯარიმო მოედანზე საგულდაგულოდ „მოცელა“ ხასაია.

ნუთუ ყოველივე ეს მსაჯისათვის შეუმჩნეველი იყო?

ვ. გაგელია.

ზონალური შეჯიბრება ჭადრაკში

სსრ კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის თბილისის ზონალურ ასპარეზობაში გათამაშებულია 8 ტური.

15 აპრილს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ამ დღეს კიკნაძმა მოუგო ბლაგიძეს, ჰალილბეილიმ — ბაილეს, ეუხოვიცკიმ — მიასნიკოვს, არონინმა — გიტერმანს, ალაშიანმა — დემურიას, ნაფტალინმა — ლომაიას, გიტერმანმა — ეუხოვიცკის, ბაილემ — სარდაროვს, სარქისიანმა — ლომაიას. არონინმიასნიკოვის, შიშოვ-ბლაგიძისა და ჰალილბეილი-მნაცაკანიანის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

8 ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერია ტაიმანოვი, რომელსაც 7 ქულა აქვს. მნაცაკანიანს შეგროვებული აქვს 6 ქულა, არონინსა და კიკიანს ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა.

მოძრაობის წესების დარღვევისათვის

ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციასთან არსებულმა სადისკვალიფიკაციო კომისიამ კომბინატ „საქნახშირის“ ავტობაზაში გამართულ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა საქმე ავტომძღოლებისა, რომელებმაც უხეშად დაარღვიეს მოძრაობის წესები და ავტომანქანებს მართავდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში. მოძრაობის წესების ასეთი უხეში დარღვევისათვის სადისკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით ავტომძღოლებს ს. ი. აკოფოვს, გ. ნ. ბალაბუნოვს, ა. ტ. კუბრიანოვს, ა. ნ. მელაძეს, ა. მ. მუსერიძეს, ი. ი. მოროზოვს, უ. გ. მამუკაშვილს და გ. ა. ფედოროვს აეკრძალათ ავტომანქანის მართვა ერთი წლის ვადით.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაშვილი.

ღ ე ს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა, **სომხური დრამის** — დედინაცვალი, **მუსიკალური კომედიის** — დალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ანდროს ოცნება (აბონემენტი № 20, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — დათუნიას სამართალი (11 ს.), თოვლის პაპა (4 ს.), **ფილარმონია** — ებრაული მუსიკალური კომედიის და დრამის ანსამბლის კონცერტი (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, თბილისი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მთელი მსოფლიოს ჭაბუკები რომ..., **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კომკავშირელი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ჩემი ქალიშვილი, **ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი** — როცა ბულბულები გალობენ, **26 კომისრის სახელობის** — დოხუნდა, **კოლხიდა** — ანგელი მთებში, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — მისამართი უცნობია, **კოლმეურნე** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **დიდუბე** — მეტოქენი, **კიროვის სახელობის პარკი** — კნოპკა და ანტონი, **კომუნარების ბაღი** — რომი 11 საათზე, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — დარიკო, **სპარტაკი** — მიწა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — გიმანი, **ქრონიკა**— ისინი ამბილებენ ამერიკულ დაზვერვას.

მეუღლე ვიქტორ, შვილები ნუცა, ლადო, ქეთო, ტატიანა, რძალი ოლია, სიძეები ბ. ჩარგეშვილი, შ. ცერცვაძე ოჯახებით იუწყებიან
ეკატერინე სამსონის ასულ ჭალაგანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV გეგეჭკორში.

მოქალაქე **ლიდა ნიკოლოზის ასულმა დევდარიანმა,** მცხოვრებმა დიდუბის დასახლება № 3, აღძრა საქმე ყენისის ქ. № 23 მცხოვრებ მოქალაქე **გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ვეფხვაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გრიგოლ ივანეს-ძე სამსონიამ,** მცხოვრებმა ელმავლის მესამე შესახვ. № 12, აღძრა საქმე ცისარტყელის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **ნინო პეტრეს ასულ ჩერნიშევთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

დედა მართა, მეუღლე ირინე, შვილები ნაზი, ვალიკო, სერგო, დები ოლია, ეკატერინე, ძმები მიხეილ, ნოე, ჰოლა ოჯახებით იუწყებიან
ილია ვარდენის-ძე პაიჭაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-IV, 8 ს. გამოსვენება 20-IV, 5 ს. საბჭოს ქ. № 25.

შვილები ანა, შუშანა, ოთსებ, მიხეილ, დავით, შალვა, რძლები ვერა, თამარ, ვერა, ნუნუ, ეთერ ოჯახებით იუწყებიან
ვერა მიხეილის ასულ სეფიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV, 5 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, მახარაძის ქ. № 43.

შვილები ნინო, სონია, ლიდა, მირიან, ტარიელ, ტიტიკო, რძლები ნინო, ქსენია, მერი, ტატიანა, სიძე შ. ორაგველიძე ოჯახებით იუწყებიან
მატრონე ალექსანდრეს ასულ ხავთასი-სირაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20-IV მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის ფაბრიკიდან, დაკრძალვა სოფ. ვანისქედში.

შვილები ნინო, ოლია, ქეთო, ძაგნიძეები, სიძეები დ. მებუკე, დ. ჟორჟოლიანი, ვ. ჩხაიძე ოჯახებით იუწყებიან
ნატალია გიორგის ასულ ძაგნიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, მესხიშვილის ქ. № 12.

შვილები თამარ, ზურაბ, დავით, რძლები კ. იალამიდი, ქ. კიკნაძე, სიძე დ. კერესელიძე ოჯახებით იუწყებიან
ელისაბედ ზურაბის ასულ აბდუშელიშვილი-თავზარაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV, 5 ს. ქ. გორში, გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 78.

შვილი გიორგი, რძალი ნინო შვილებით იუწყებიან
ევა სიმონის ასულ შოშიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 8 ს. გამოსვენება 18-IV, 6 ს. ლამის ქ. № 40.

მეუღლე ვარვარა, შვილები ნიკოლოზ, ტერენტი, შურა, ვერა, სიძეები ს. გალოიანი, კ. ჩომახიძე ოჯახებით იუწყებიან
თევდორე პავლეს-ძე გამყრელიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 8 ს. გამოსვენება 18-IV, 5 ს. საინგილოს ქ. № 12.

მშობლები ბაბალე, აკაკი, ძმა თეიმურაზ; ელენე, გერონტი, ვალერიან, თინა დევდარიანები იუწყებიან
ვახტანგ აკაკის-ძე დევდარიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV 7 ს. ქ. ზესტაფონში, გამოსვენება ბინიდან, ბარნოვის ქ. № 13.

დედა ელენე, მეუღლე ოლია, შვილი მამია, ძმები გაბრიელ, შალვა, და თამარ ოჯახებით იუწყებიან
დომენტი კონსტანტინეს-ძე დარჩიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 8 ს. გამოსვენება 18-IV, 5½ ს. გრიბოედოვის ქ. № 15.

მეუღლე მარიამ, შვილები რევაზ, ირინე, დები მარო ბარათაშვილი, იულია მაღალაშვილი ოჯახებით იუწყებიან
ვახტანგ რაჟდენის-ძე მაღალაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 8 ს. გამოსვენება 18-IV, 5½ ს. თარხნიშვილის I ჩიხი № 4.

მეუღლე ლავრენტი გერსამია, შვილები გიორგი, თამარ, ვახტანგ, ოთარ, მზია, რძალი ნ. დგებუაძე, სიძე გ. მალაზონია იუწყებიან
სოფიო ბუღლას ასულ გერსამიას